

ჯენიფერ ბელი

ქვიშის საჭთი

მინისკვეპელეში



ბაპრ სულაკაურის
გამომცემლობა

თავი პირველი

სივი თავით მიექანებოდა სიბნელეში, ნაბლისფერი კულულები სახეში სცემდა, აქეთ-იქიდან ხმამაღლა ტყლაშუნობდა ჩანთის გვერდები.

– სებ! – დაიძახა, – ისევ მანდ ხარ?

სადღაც, შორს, სიბნელე გაიბზარა.

„დროა“.

ბზარი რომ გადიდდა და გასასვლელად იქცა, ავიმ სიჩქარე შეანელა და გაჭირვებით გაძვრა ჯვალოს ტომარაში. სხეულმა ისე დაინყო ზრდა, თითქოს ბუმტი წყლით ივსებაო და ნორმალურ ზომას დაუბრუნდა.

პატარა, მდიდრულად მოწყობილ ოთახში იყო. მთვარის შუქი ერთადერთი ილუმინატორიდან შემოდის და მუხის ხის გაპრიალებულ მაგიდას, ტყავის სავარძელსა და სქელბენვა ხალიჩას ანათებდა. ერთ კედელს ფერნასული ბიჭი მიჰყრდნობოდა. ქერა, აბურდული თმა და ზუსტად აივისნაირი მწვანე თვალები ჰქონდა.

– სებ, სადა ვართ?

აივის ძმას ლოყები დაებერა:

– ვერ ვლაპარაკობ: მეშინია, არ მალებინოს.

– გემზე, – მოესმა აკანკალებული ხმა უკნიდან, – და მარტონი არა ვართ.

აივი მიტრიალდა, რომ დაენახა, სად იყო მათი მეგობარი ველიანი. შავგვრემან, გამხდარ სახეზე ველიანს წუხილი ეტყობოდა. ვილაც შავფორმიანი კაცის სხეულთან დაჩოქილიყო. კაცი უხერხულად, გვერდულად ეგდო იატაკზე, ცალი მკლავი თავზე წაეფარებინა, მეორეს კი ფერდით დასწოლოდა. აივისა და სების დედ-მამის ხნისა იქნებოდა, ორმოცს გადაცილებული, ქერა ხუჭუჭა წვერი ჰქონდა და მარცხენა წარბზე ჭადარაზოლი გასდევდა.

– სძინავს? – იკითხა აივიმ და ახლოს მიხობდა. კაცს თვალები დახუჭული ჰქონდა. აივიმ მხარზე დაადო ხელი და შეანჯღღრია, მაგრამ უშედეგოდ.

ველიანმა ჯერ კაცის ტუჩებთან მიიტანა ყური, მერე თითები დაადო ყელზე.

– არ სუნთქავს.

– მერე, ვუშველოთ!

– რას ვუშველით, – თითები მოაშორა ველიანმა და ნერწყვი გადაყლაპა, – პულსი არ ესინჯება.

აივი გაშეშდა:

– გამოდის, რომ...

– მკვდარია, – პირქუშად თქვა ველიანმა, – ჯერაც თბილია. ახალი ამბავი უნდა იყოს...

ხმამალალი ჯახუნი გაისმა: პირზე ხელაფარებული სები კარში გავარდა. აივიმ ღრიჭოში თეთრი მარმარილოს სააბაზანო დალანდა.

– შეიძლება ხალიჩას წამოჰკრა ფეხი და დავარდა.

ფეხზე რომ წამოდგა, იატაკი შეინძრა. კუთხეში, ლანგარზე ვისკის ჭიქები აწკარუნდა.

ველიანი მოიღუმა:

– არა მგონია. არც კოპი აზის თავზე და არც ჭრილობიდან წამოსული სისხლი ჩანს, – წამოდგა და კაიუტის დათვალიერებას შეუდგა. მისი გაბურძენილი, შავი თმა, ვინრო, დახეული ჯინსი და ტალახიანი წითელი სპორტული ფეხსაცმელი იოტისოდენადაც კი არ შეეფერებოდა ძვირფასი თვლებით შემკულ ლამპებსა და მოოქრულჩარჩოებიან სარკეებს, – უნდა გავარკვიოთ, რა ხომალდზე მოვხვდით.

– ამ კაცს პიჯაკზე ნიშანი აქვს, – შენიშნა აივიმ; ლოგოს ქვემოთ რამდენიმე სიტყვა ეწერა, – „ფროსი თანაშემწე“, – ამოიკითხა, – „თბომავალი „უცხოქვეყნელი“.

გაისმა უნიტაზის ჩარეცხვის ხმა და სააბაზანოს კარი მკვეთრად გაიღო. სები ანორაკის სახელოთი ინმენდდა პირს:

– ბოდიში, თავი ველარ შევიკავე.

ბიჭი მძიმე ნაბიჯებით რომ მივიდა კაიუტის შუაგულში და ჯინსის ჯიბიდან მობილური ამოიღო, აივიმ ცხვირი აიბზუა:

– სასარგებლოს ვერაფერს გააკეთებ? – ჰკითხა, – შენ ჩავვითრე ამ საქმეში ისე, რომ გეგმა წესიერად არ გვექონდა მოფიქრებული.

სებმა თვალები დაუბრიალა:

– ექსპერიმენტია: ინიციატივა გამოვიჩინე. რა ვიცოდი, აქ თუ მკვდარი დაგვიხვდებოდა, – სები მხარბეჭიანი და მაღალი იყო, დაკუნთული მკლავები ჰქონდა, როგორც ადამიანს, რომელიც, აივის საუბედუროდ ყოველ საღამოს თითო საათს ვარჯიშობდა დრამზე დაკვრაში. აივის მუდამ უკვირდ: დაძმა ვართ და ოდნავაც არ ვგავართ ერთმანეთსო: თვითონ ტანწერილი იყო.

ველიანმა მხარზემთ გახედა სებს:

– ეგ შენი აპარატი გვეტყვის, სადა ვართ?

აივის დღემდე უკვირდა, რომ ველიანს თითქმის არაფერი გაეგებოდა თანამედროვე ტექნიკისა.

– ჰმ, – სებმა რამდენჯერმე გაასრიალა თითი ეკრანზე: – ნავიგატორი მუშაობს, მაგრამ სხვა ოპერატორის ქსელში ვარ, ეტყობა, ბრიტანეთის გარეთ მოვხვდით, – თვალები გაუფართოვდა, – აუჰ! ამას თუ დავუჯერებთ, ნორვეგიის სანაპიროზე ამოგვიყვია თავი!

– ნორვეგიის? – ველიანმა მობლუჯა ტომარა, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ გამოხობდა აივი, ზედ მიბმულ საბარგო იარლიყს სტაცა ხელი და ორჯერ წაიკითხა, – ნამდვილად სწორად დამინერია: „სელენა გრაიმსი“; კი, მაგრამ ნორვეგიაში რა ესაქმება?

სებმა მოწყვეტით ასწია თავი:

– მმ... შეიძლება ვინმეს მშობლებს სტაცებს ან აშანტაჟებს ან კიდევ – ანამებს. „მრუმე“ ალბათ მთელ მსოფლიოში სჩადის ბოროტ საქმეებს.

აივის ტანში სიცივემ დაუარა. „მრუმე“ ორგანიზაცია იყო, ისეთი ბოროტი, რომ მისი სახელის გაგონებაზეც კი აჟრიანებდა.

– ჯერ ზუსტად არ ვიცი, აქ არის თუ არა. ეტყობა, იარლიყმა ვერ იმოქმედა, – იმედი ჰქონდა, იქნებ მართლაც არ უმოქმედიო: სელენა გრაიმსი საშიში ვინმე იყო და ბოლო შეხვედრისას აივი კინალამ ემსხვერპლა მის შინაურ მგელს, – იქნებ ეს ტომარაც ასეა: სხვა გვაროვანი ჩანთებივით პირდაპირ პიროვნებასთან კი არა, იმ მიდამოებში მიგვიყვანს, სადაც ეს პიროვნებაა?

– ეს ტომარა სხვანაირია, – დაიჟინა ველიანმა, – შენც ხომ

იცვი, რომ ასეა. დიდგვაროვანი ნივთი ხუთია და მსოფლიოში იმათზე დიდი ძალის მქონე გვაროვანი ნივთი არ არსებობს. დამიჯერე, ამ ტომარას იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე წარმოგვიდგენია.

აივინი ძველ, გაცრეცილ კარტოფილის ტომარას დახედა. უცნაურია, რომ ასეთ, არაფრით გამორჩეული შესახედაობის ნივთს შეეძლო ორიოდ ნამში გადაეყვანე ათასობით მილის სიშორეზე. მაგრამ განა ყველა გვაროვანი ნივთი ასე არ არის? ყველაზე ჩვეულებრივ, ყოფით ნივთშიც კი არაჩვეულებრივი ძალაა ჩამალული.

სებმა თვალები მოჭუტა და პირველ თანაშემწეს დააკვირდა:

– ხელში რა უჭირავს?

აივინი ისევ გვამს დახედა. კაცის მუჭში რალაც ციალებდა. აივინი გაიფიქრა, კიდევ კარგი, ხელთათმანები მაცვიაო, ფრთხილად გაუშალა თითები და ვერცხლის მონეტა დაინახა. შუაში გაღუნული იყო, გარშემო წარწერა დაუყვებოდა.

– მრუდე ვერცხლი, – აღმოხდა აივის და უკან დაიხია. ამ მონეტას ყველგან იცნობდა: „მრუმის“ სავიზიტო ბარათი იყო.

– რომელიღაც მრუმეს მოუკლავს, – მოიღუშა ველიანი, – ეტყობა, ტომარაზე მიკრულმა იარლიყმა თავისი საქმე გააკეთა, თორემ ამდენი დამთხვევა რანაირად მოხდებოდა?! სელენას ნახელავია.

სებმა ცერად გახედა გარეთ გასასვლელ კარს:

– ეტყობა, სელენამ რამდენიმე წუთით გაგვასწრო კაი-უტიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისევ გემზეა და შეიძლება „მრუმის“ სხვა ნევრებიც ახლავს, – დიდგვაროვანი ტომარა აიღო, – მართალს ამბობ, აივი, ადრე უნდა გვეფიქრა ყველაფერზე. მოდი, გავიდეთ აქედან.

აივიმ, ის იყო, განგაშის ატეხვა დააპირა, გემის ეკიპაჟს გავაგებინოთ, რაც ხდებოდა, რომ ერთბაშად სახეში ქიმიკატების მძაფრი სუნი ეცა და თვალები აახამხამა:

– ფუჰ! საიდან მოდის ეს სუნი?

ველიანმაც შეიყნოსა და უფროსი თანაშემწის ხელში ჩარჩენილ მრუდე ვერცხლზე გადაიტანა მზერა:

– გველისძირაა, – წაიდუღუნა, – მაგის მყრალი სუნი არაფერში ამერევა. მრუმეებმა ჩემს მშობლებზე გამოსცადეს. სანამლავია, სიკვდილის წინ სიმართლეს გათქმევენებს. ეტყობა, მონეტა შიგ ამოავლეს და ამ კაცის კანმა შეინოვა.

ველიანის დედ-მამის ხსენებაზე აივის გული მოეწურა.

– ჯერ ვერ წავალთ, – უთხრა სებს, – თუ გავარკვევთ, რატომ მოკლა სელენამ ეს კაცი და რას აკეთებს აქ, შეიძლება იმასაც მივხვდეთ, რას გეგმავენ მრუმეები და ხელიც შევუშალოთ.

– აივი, ძალიან სახიფათოა! – შეიცხადა სებმა, – სელენამ ეს კაცი მოკლა და აქ თუ დაგვინახა, ჩვენც ზედ მიგვაყოლებს.

აივის მოუნდა, ძმისთვის ეთქვა, მაგაზე მანამ უნდა გეფიქრა, სანამ აქ გამოგვაქანებდიო, მაგრამ რა დროს კამათი იყო.

– ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენ ხანს დარჩება სელენა გემზე, ჰოდა, ახლავე უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით.

– რალაც მაქვს და ამ საქმეში გვიშველის, – თქვა ველიანმა, – ესე იგი იმაში, რომ ვერ დაგვინახონ. სებ, შეგიძლია, შენს ხელსაწყოზე ამ გემის გეგმა იპოვო? თბომავალი „უცხოქვეყნელი“ ჰქვია.

სებმა ბუზბლუნით ჩაიჩურთა დიდგვაროვანი ტომარა ანორაკის ჯიბეში და ტელეფონი ამოიღო:

– თბომავალი „უცხოქვეყნელი“: აჰა, ვიპოვე. სატვირთო

გემია, ნორვეგიასა და ლონდონს შორის დაცურავს. გემზე სამი დონეა, პლუს – სამანქანო განყოფილება; დიდი ამწეც დგას გემბანზე, სადაც კონტეინერები აწყვია.

აივიმ გაიფიქრა, ნეტავ რატომ უნდა აინტერესებდეთ მრუმეებს ისეთი ჩვეულებრივი გემი, როგორც თბომავალი „უცხოქვეყნელია“.

– ნამოდით, გემბანზე ავიდეთ, – უთხრა ბიჭებს, – და კონტეინერები დავათვალიეროთ. იქნებ ტვირთმა მიგვახვედროს, რა ესაქმებათ მრუმეებს აქ.

– კარგი გეგმაა, – ტყავის ქურთუკში შეიყო ხელი ველიანმა და სუნამოს მომცრო, ბროლის ფლაკონი გამოიღო. შუშაზე თითბრის მოჩუქურთმებული პულვერიზატორი იყო მიმაგრებული, შიგ ცოტაოდენი მუქი სითხე ესხა, – ამოდენა გემს დიდი ეკიპაჟი ეყოლება. ჰოდა, ეს იმაში გამოგვადგება, რომ ვერ დაგვინახონ, – შეანჯღრია ფლაკონი და შეამონმა, სამყოფად იყო სითხე თუ არა.

– ეგ რა არის? – ახლოს მიინია აივი.

ველიანმა თავზე დაუმიზნა თითბრის ტუჩი:

– სინამდვილეში შადრევნის ჩვეულებრივი წყალია, ოღონდ სუნამოს გვაროვან ფლაკონში ასხია. გვაროვნები, მეტწილად, თხევად ჩრდილს ეძახიან. ვისაც ეს ასხია, შეუძლია ნებისმიერ ჩრდილს შეერიოს. მთლად უხილავს ვერ გაგხდის, მაგრამ ადამიანი, როგორც წესი, ჩრდილებს ნაკლებად ამჩნევს.

აივიმ ცხვირი შეიჭმუხნა, როცა სითხე წვეთებად დაეპკურა მხრებზე, მაუდის ლურჯ პალტოსა და თმაზე. კვამლის სუნი დაჰკრავდა.

– ერთი საათი გვაქვს, მერე აორთქლდება და აღარ იმოქმედებს, – გააფრთხილა ველიანმა, სეზსაც მიაპკურა სითხე და ბოლოს პულვერიზატორი თავისკენ შეატრიალა, – ნავედით.

პირველი თანაშემწის გვამი კაიუტაში დატოვეს და კარი გამოიხურეს. დერეფნის ლითონის მორკალული კედლები ბოქლომებითა და პრიალა ნაცრისფერი საღებავით იყო დაფარული, თითქოს ფუტურისტული გვირაბიაო. არაბუნებრივი განათება ყველგან ჩრდილებს აფენდა. აივიმ პირველსავე შემხვედრ ჩრდილში შედგა ფეხი.

– არ არსებობს! – წაიჩურჩულა სებმა და დას მიაშტერდა, – აივი, მართლა გაუჩინარდი!

აივიმ ხელი წინ გაიშვირა, მაგრამ ვერ დაინახა. სხეული მოისინჯა. არც ქვედატანი ჩანდა, არც აბურძგნილი შალის კოლგოტი და არც გახეხილი თეთრი სპორტული ფეხსაცმელი. თითქოს ბინდში გადნაო. ცდა ჩაატარა: ფეხი სინათლეში გადადა და იატაკზე მაშინვე გამოჩნდა ფეხსაცმლის ფორმის ჩრდილი. ველიანმა ორივეს ანიშნა, დაუჩქარეთო.

– ნავედით.

სწრაფად გაიარეს კიბისკენ მიმავალი დერეფანი. გემის კორპუსი შიგნიდან ცარიელი და ვინრო იყო, უცნაური ხმების ექოთი სავსე. აივი ცდილობდა, დიდხანს არ შეეჩერებინა მზერა ყოველ ნაბიჯზე გამოკიდებულ გამაფრთხილებელ წარწერებზე: „ხანძარსანინაალმდეგო სარქველი (მთავარი სექცია)“, „ფეთქებადსაშიში“, „მაშველი რგოლი“, „საავარიო გასასვლელი“.

ის იყო, კიბის მოაჯირს მოჰკიდა ხელი, რომ ზემოდან ბათინკების ბრაგაბრუგი მოისმა. ველიანი კიბის ქვეშ, სიბნელეში შევარდა და აივი და სებიც შეათრია. კედელს აკრული აივი მძიმედ სუნთქავდა, სანამ ფორმიანი მეზღვაურების გუნდი ბრახაბრუხით ჩამორბოდა.

„დაუჯერებელია“ – თხევადმა ჩრდილმა თავისი საქმე გააკეთა.

ეკიპაჟის წევრები უცხო ენაზე უყვიროდნენ ერთმანეთს, ბრძანებებს გასცემდნენ. მიძიმე კარი გამოაღეს და სირბილით გავიდნენ სხვა დერეფანში. თვალს რომ მიეფარნენ, აივი, სები და ველიანი ჩრდილიდან გამოვიდნენ და სწრაფად აუყვანენ კიბეს.

გარეთ ოკეანის გამაყრუებელი გუგუნი ისმოდა. აივი გალაჯული დადგა აქანავებულ გემბანზე. ისე ციოდა, რომ დაჰბურძგლა. ელექტრონათურების გირლანდა ქარში ჩხრიალებდა და ლითონის ვეება კონტეინერებით სავსე გემბანს ანათებდა. კონტეინერები რიგებად ეწყო, რიგებს შორის იმხელა ადგილი იყო, ადამიანი თავისუფლად გაივლიდა, თუმცა იქაურობა მაინც უცნაურად ცარიელი ჩანდა. ველიანმა შუა გემბანზე აღმართულ დიდ ამწეზე ანიშნა და ყველანი იქით წავიდნენ.

ჩრდილ-ჩრდილ სიარულში ველიანი და სები გაუჩინარდნენ. აივიმ იცოდა, იქვე იყვნენ, მაგრამ თავს მაინც მარტოდ გრძნობდა, რომ ვერ ხედავდა.

ვეებერთელა კონტეინერები კაშკაშა ფერებად იყო შეღებილი, კარების გასამაგრებლად ფოლადის სქელი ძელები მიეკრათ, წინა მხარეს სერიული ნომრები ამოეტივიფრათ. აივიმ გზადაგზა ყველა კონტეინერი საგულდაგულოდ დაათვალიერა, მაგრამ არსად ჩანდა იმის ნიშანი, თუ რა იდო შიგ.

წითელი კონტეინერისკენ ფეხაკრეფით მიმავალს ხმამალალი ჩხაკუნი მოესმა და გაშეშდა. კონტეინერიდან თითქოს ვილაც გამოდიოდა. აივი უკან გახტა: გოფრირებული კედლიდან ორი მუქი ფიგურა გამოსრიალდა. აივიმ პირზე ხელი მიიჭირა, რომ გოცებისგან არ წამოეყვირა. ასეთ მყარ სხეულში მხოლოდ ერთი ვინმე თუ გამოვიდოდა: მიცვალებულთა რომელიმე რასის წარმომადგენელი.

იმდენი შუქი არ იყო, მკაფიოდ დაენახა, მაგრამ ერთი

მათგანი მაღალი იყო, უცნაური ფორმის თავი ჰქონდა, მეორეს კი გრძელი, თეთრბუნვემცოვლებული, კაპიუშონიანი მოსასხამი ებურა. აივიმ შეამონმა, ხომ ისევ ჩრდილი ვარო და გაშეშდა. მოსასხამიანი ფიგურა მთვარით განათებულ ადგილას გამოვიდა და კაპიუშონი გადაიხადა. მუქი, პრიალა ნაწნავი ჩამოეშალა და წელამდე სწვდებოდა.

„სელენა გრაიმსი“.

აივი შეკრთა. ვამპირს ახლაც ისეთივე კინოვარსკვლავური გარეგნობა ჰქონდა, როგორც წინა შეხვედრებიდან ახსოვდა: გადატკეცილი კანი, გამოკვეთილი ყვრიმალეები და კაშკაშა ნითელი ტუჩები. სახის გარშემო ჩარჩოსავით შემოვლებული მუქი თმა კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენდა ნაზ სახესა და ცისფერ, გამსჭვალავ თვალებს.

– გველისძირამაც ვერაფერი ქნა, იმ სულელმა არაფერი გვითხრა, – თქვა გაბრაზებით; მისი ფოლადივით ხმის გაგონებაზე აივის კანკალი აუვარდა, – აქამდეც უნდა მომეკლა. ზუსტად იცი, რომ ჩრდილთა ლარნაკი გემზეა?

– კვალმადიებელი შრატი ვიხმარე; ხომ იცით, რა ზუსტია, – წაიჩურჩულა სელენას თანამგზავრმა. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს პანის სალამურში უბერავსო, – წყალი არ გაუვა, ლარნაკი ამ გემზეა; ასე რომ არ იყოს, არ დაგიკავშირდებოდით.

სიბნელიდან გამოვიდა. ადამიანისოდენა ჩოქელას ჰგავდა, გლუვი მწვანე კანი ჰქონდა და ბრტყელი, სამკუთხა თავი, რომელზეც ორი მოელვარე, ყვითელი, სალათის თეფშისოდენა თვალი ამობურცვოდა. ყბიდან ბასრი მანდიბულები ჩამოჰკიდებოდა; აივიმ ძვირფასი, ზურმუხტისფერი შალის კოსტიუმიდან გამოჩრილი, ჯოხის სისქის ექვსი კიდური დაუთვალა: ორს ფეხებად ხმარობდა, დანარჩენი ოთხი კი მკლავების მაგივრობას უწევდა, რომლებიც ეკლიანი, კლანჭა

ხელებით ბოლოვდებოდა. ბეჭები-
დან მწვანე, აბრეშუმით ფრთე-
ბი ამოშვეროდა.

აივი შიშით უკან გახტა. ვერ
მიმხვდარიყო, მიცვალეულთა
რომელ რასას ეკუთვნოდა ეს არსე-
ბა. სელენასავით ვამპირი ნამდვი-
ლად არ იყო.

– გავაგრძელებ ტვირთის
ჩხრეკას, სანამ გემი დოკში არ
დადგება, – დაჰპირდა სელე-
ნას, – განრიგით დილის საა-
თებში უნდა ჩავიდეს ლონ-
დონში.


– ლონდონში? – გაკვირვებით ასნია წარბები სელენამ, –
მაგას რა სჯობს! ლანდინორში ხვალ იხსნება საგაზაფხულო
ბაზრობა; ეტყობა, ვილაცას იქ მიაქვს ლარნაკი, – ჩაიცინა, –
წარმოდგენა არა აქვთ, რომ მაგ ნივთს პანდორას ძალა აქვს.
მოიცადე, სანამ გემის გადმოტვირთვა დამთავრდება, მერე
კი ლანდინორში ექებე. იცოდე, სწრაფად უნდა იმოქმედო.

ჩოქელასებურმა კაცმა თავი დახარა:

– როგორც მგელცოფას ნებავს.

აივის შეაჟრჟოლა. „მგელცოფა“ სელენას მეტსახელი იყო.
მრუმის დანარჩენ წევრებსაც შხამების სახელები ერქვათ –
ხარისშუბლა, შავკლანჭა, ბნელშმაგა, ძირმწარა და ღვარძლა.

– და რასაც გაარკვევ, გამაგებინე, – განაგრძო სელენამ, –
რაც შეიძლება, მალე უნდა ჩავიგდო ხელში ის ლარნაკი.
დასაკარგი დრო არ გვაქვს, – შავი ატლასის ხელთათმანი
გაიხადა და თითებზე დაიხედა. ხელზე კანი დაფუფხული და



დამპალი ჰქონდა, ყვითელი ჩირქი სდიოდა. აივიმ ზიზლით აარიდა თვალი, – მოდის დრო, როცა მრუმე სინათლეში უნდა გამოვიდეს, – თითებიდან მატლი მოიშორა, – მალე გაიგებენ ტიალები, რას ნიშნავს წყვდიადში ცხოვრება.

აივი კარგად ვერ მიხვდა, რა იგულისხმა სელენამ, მაგრამ ალბათ კარგი არაფერი. „ტიალი“ „ოხერ-ტიალიდან“ მომდინარეობდა: ტიალებს ეძახდნენ უგვაროებს – იმ ადამიანებს, რომლებსაც წარმოშობა უფლებას არ აძლევდა, რაიმე სცოდნოდათ გვაროვანი სამყაროს შესახებ.

მოულოდნელად მკლავში რალაც მოხვდა და ელდანაცემმა დაინრიპინა. გვერდით სები მისდგომოდა, სების უკან ველიანი იდგა. ჰაერი ბრაზიანმა სისინმა გაავსო და აივის კისერზე ბენვი ყალყზე დაუდგა.

– ჯაშუშები, – დაიღრინა ჩოქელა-კაცმა და ანტენები აატკაცუნა.

თხევად ჩრდილს ძალა დაჰკარგოდა.

– დაიჭირე! – იყვირა სელენამ.

ჩოქელა-კაცმა ფრთები გაშალა, შხუილით აიჭრა ჰაერში და, სელენას მინიშნებისამებრ, აივისკენ გამოქანდა.

აივი ბრაგაბრუგით გაიქცა გემბანზე. წინ გაჭრილმა ველიანმა მომდევნო დერეფანში შეუხვია. აივი მიჰყვა და კინალამ სებს შეასკდა.

– არ გაჩერდე! – უბიძგა ბიჭმა, – ის ხოჭოა თუ ვილაც, ფეხდაფეხ მოგვდევს.

ზემოდან ფრთების ავისმომასწავებელი ფართქუნი მოესმათ. სებმა ანორაკიდან დიდგვაროვანი ტომარა ამოიღო და ნახვრეტში რალაც ჩაიჩურჩულა.

– გადმომიგდე, – უღრიალა ველიანმა.

სებმა მალლა აისროლა ტომარა, ველიანმა ცალი ხელით

დაიჭირა და გემის მოაჯირთან მონყვევით შეჩერდა. მოაჯირს გადაღმა ბნელი ზღვა მოჩანდა.

– უნდა გადავხტეთ, – ქოშინით უთხრა და-ძმას, – მენდეთ, – ცალი ხელით დაეყრდნო მოაჯირს, მერე ზედ გადაეკლო და ნყალში ისკუპა.

სებმა აივის უბიძგა:

– აივი... მიდი!

აივი მოაჯირზე აფოფხდა, წამით შედგა და უკან გაიხედა. სელენა გრაიმსი და ჩოქელა-კაცი, სადაც იყო, დაენეოდნენ. გოგომ ფილტვები ჰაერით აივსო და ტალღებში ისკუპა.

ხელ-ფეხი აატყაპუნა. თვალი მოჰკრა, ხელის განვდენაზე დიდგვაროვანი ტომარა შეირხა და შიგ ველიანის წითელი სპორტული ფეხსაცმელი გაუჩინარდა.

– აივიიიიიიი! – ყვირილით ჩამოხტა სები მის უკან.

აივის ყურებში ქარი უნუოდა; მკლავები გაჭირვებით დაუშვა, ტომრის ღიობისკენ ქნა პირი და შიგ შეძვრა.